პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 269 (10355) | კვირა, 13 ნოემბერი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერშია:

დარბაზობა ნორვეგიის საელჩოში (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ა. ი. მიქოიანისა და ნორვეგიის ვაჭრობის მინისტრ ა. სკაუგის მოლაპარაკება (1-ლი გვერდი).

ნორვეგიის პრემიერ-მინისტრი ე. ჰერჰარდსენი სსრ კავშირის დიდ თეატრში (1-ლი გვერდი).

საბჭოთა საქართველოს დღე (1-ლი გვერდი).

პარტიული ცხოვრება. — **გ. ჯინჭარაძე.** — მეცხოველეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში (მე-2 გვერდი).

საწარმოთა ხელმძღვანელები გვწერენ (მე-2 გვერდი).

ა. თომაძე. — სასიხარულო ცვლილებები (მე-2 გვერდი).

გ. ხეჩუაშვილი. — ახირებული ხასიათის უფროსი (მე-2 გვერდი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის უნგრეთში გამგზავრების შესახებ (მე-2 გვერდი).

ვ. გოზალიშვილი. — სასოფლო-სამეურნეო ... ლტურის სახლში (მე-3 გვერდი).

ლიტერატურა და ხელოვნება. — **უჩა ჯაფარიძე.** — შემოქმედებითი აღმავლობისათვის; **ნ. შველიძე** — ბერნარდ შოუ ქართულ სცენაზე; **ლ. ძიძიგური.** — ჰაინეს ლირიკა (მე-3 გვერდი).

ნ. ნაჭყებია. — ალეირი (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

საქალაქო და რაიონული პარტიული კონფერენციები

დაიწყო პარტიული ორგანოების ანგარიშგება-არჩევნების ახალი ასუხსაგები ეტაპი. იმ რაიონებში, სადაც პირველადი ორგანიზაციების ანგარიშო-საარჩევნო კრებები ჩატარდა, უკვე იმართება რაიონული პარტიული კონფერენციები. გუშინ მუშაობას შეუდგნენ ზნაურის, წითელწყაროს, ოყალტუბოს, ხულოს, სოხუმის და სხვა რაიონული პარტიული კონფერენციები. ნოემბრის მეორე ნახევარში და დეკემბრის პირველ რიცხვებში გაიმართება საქალაქო პარტიული კონფერენციები.

პარტიული კონფერენციები შრომელთა მძლავრი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობის ვითარებაში მიმდინარეობს. სულ უფრო ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად. საბჭოთა ხალხი თავდადებით შრომობს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის, მძიმე ინდუსტრიის უპირატესი განვითარებისა და მის ბაზაზე სოფლის მეურნეობის, მკვეთრი აღმავლობისათვის. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ლენუმების მიერ დასახული დიდი ამოცანები პარტიული ორგანიზაციებისაგან ითხოვს იმას, რომ შეუნელებელ ყურადღებას აქცევდნენ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხებს, განუწყვეტლივ სრულყოფდნენ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის მეთოდებს, ყოველი ღონისძიებით განამტკიცებდნენ კავშირს მასებთან.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის ლენისის პლენუმის გადაწყვეტილებანი პარტიული ორგანიზაციების საბრძოლო პროგრამაა. საჭიროა პარტიული კონფერენციების მუშაობა წარიმართოს მის შემოწმების ნიშნით, თუ როგორ ახორციელებენ სამრეწველო საწარმოთა პარტიული ორგანიზაციები ივლისის პლენუმის დადგენილებას ტექნიკური პროგრესის ტემპების გაძლიერების, შრომის ნაყოფიერების გადიდების, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და ხარისხის ამაღლების, მრეწველობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების შესახებ. დელეგატებმა ორმა ანალიზი უნდა გაუკეთონ ქალაქისა და რაიონის სამრეწველო საწარმოთა მუშაობას, დასახონ პრაქტიკული ღონისძიებანი იმისათვის, რომ ყველა საბრიკა და ქარხანა მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებდეს სახელმწიფო გეგმას. აუცილებელია ყოველმხრივ განხილულ იქნას საქალაქო და რაიონული კომიტეტების სამრეწველო განყოფილებათა საქმიანობა. უნდა ითქვას, რომ ბევრი სამრეწველო განყოფილება, ძირძოდ, პარტიის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის სამრეწველო განყოფილება ნაცვლად იმისა, რომ შახტებში ორგანიზატორულ მუშაობას ეწეოდეს, ორმად სწავლობდეს კადრებს, ტექნიკას და წარმოების ეკონომიკას, წვრილმანი სამეურნეო საქმეებით არის გართული.

პარტიულ კონფერენციებზე დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის ბრძოლის გაძლიერების, საკოლმეურნეო წარმოებისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების საკითხებს. როგორ ხორციელდება პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებანი მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდების შესახებ, როგორ ეწყობა პარტიის სასოფლო რაიკომების მუშაობის გარეშე, როგორია პარტიის სასოფლო რაიკომების ინსტრუქტორთა ჯგუფების საქმიანობის შედეგები, — აი ის ძირითადი საკითხები, რომლებზეც უნდა იმსჯელონ კონფერენციების დელეგატებმა. ამავე დროს არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ პარტიის ზოგიერთი რაიკომი არასაკმაოდ ზრუნავს მეცხოველეობისა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების განვითარებისათვის, ადგილობრივ ორგანიზატორულ მუშაობას ერელე მითითებებით ცვლის. კვლავ ველი, უვარგისი სტილით ხელმძღვანელობს სოფლის მეურნეობას, მაგალითად, პარტიის ჯავის რაიკომი. ჯერ ადევ არ არის გარდაქმნილი პარტიის ურჯაანის რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფის მუშაობა ველისციხის მტს-ის ზონაში. პარტიის სოხუმის რაიკომმა დღემდე ვერ შეძლო მიუახლოოს ხელმძღვანელობა საკოლმეურნეო წარმოების გადამწყვეტ უბნებს. სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად საჭიროა კიდევ უფრო ავამაღლოთ კოლმეურნეობებისადმი, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის დონე.

სამეურნეო წარმატებათა სიმტკიცის საფუძველია პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა. პარტიული კონფერენციები უეჭველია ხელს შეუწყობენ იდეოლოგიური მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას, კომუნისტთა პოლიტიკური სწავლების უკეთესად დაყენებას. მშრომელთა კომუნისტური აღზრდა, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდა პარტიული ორგანიზაციების უანმიშვნელოვანესი მოვალეობაა. ამოცანა ის არის, რომ განუწყვეტლივ ვიზრუნოთ პარტიული პროპაგანდის ხარისხისა და იდეური შინაარსის გაუმჯობესებისათვის, ჩვენი კადრების მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიით შეიარაღებისათვის, ბოლომდე აღმოვფხვრათ ფორმალიზმის ელემენტები პოლიტიკურ სწავლებაში.

პარტიული კონფერენცია საქალაქო, რაიონული პარტიული ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა. იგი დიდი მოვლენაა პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში. იმისათვის, რომ პარტიული კონფერენცია მაღალ იდეურ და ორგანიზაციულ დონეზე მოეწყოს, აუცილებელია მის მუშაობაში აქტიური, საქმიანი მონაწილეობა მიიღონ დელეგატებმა, როგორც პარტიული მასების წარმომადგენლებმა. საჭიროა პარტიის საქალაქო კომიტეტის, რაიკომის საანგარიშო მოხსენება კონფერენციაზე გულდასმით მოფიქრებული და თვითკრიტიკული იყოს, მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის პრაქტიკისა და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის მდგომარეობის ღრმა ანალიზს შეიცავდეს. პარტიული კონფერენცია კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართო ტრიბუნაა, სადაც პარტიული მასები ამოწმებენ თავიანთ ხელმძღვანელებს მათი ანგარიშის მოსმენით. პარტიულ ორგანოში ამა თუ იმ ამხანაგის არჩევით ან არ არჩევით. საჭიროა დელეგატებმა გულდასმით განაზოგადონ საანგარიშო პერიოდში შეძენილი გამოცდილება, მწვავედ გააკრიტიკონ პარტიული ორგანიზაციების მუშაობის ნაკლოვანებანი და დასახონ ღონისძიებანი ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

დიდი ლენინი პარტიის IX ყრილობის წინ წერდა, რომ საჭიროა ყველა კომუნისტმა დაძაბოს მთელი ძალღონე, რათა პარტიის ყრილობაზე მოიტანოს შემოწმებული, გადამუშავებული, შეჯამებული პრაქტიკული გამოცდილება. ვ. ი. ლენინის ამ მითითების განხორციელება ხელს შეუწყობს პარტიული კონფერენციების საქმიან ვითარებაში ჩატარებას, მოპოვებულ წარმატებათა კრიტიკულად შეფასებას, მომავალი მუშაობისათვის სათანადო პრაქტიკულ ღონისძიებათა დასახვას. საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ დელეგატების მიერ გაკეთებული სამართლიანი კრიტიკული შენიშვნები, თვითეული საქმიანი წინადადება ყოველმხრივ მხარდაჭერასა და მოწონებას პოულობდეს პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მხრივ.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები თავიანთ საქალაქო და რაიონულ პარტიულ კონფერენციებს, რომლებიც სკკპ XX ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XVII ყრილობისათვის მზადების პასუხსაგებ ეტაპს წარმოადგენს, ეგებებიან მშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდროდ დარაზმული. პარტიული კონფერენციების ჩატარება შინაპარტიული დემოკრატიის, გაშლილი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით იმის საწინდარი იქნეს, რომ კიდევ უფრო განვამტკიცოთ პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა და ამ საფუძველზე უზრუნველვყოთ სოციალისტური ეკონომიკის ყველა დარგის განუხრელი აღმავლობა.

საბჭოთა საქართველოს დღე

★ ★

ადგილობრივმა მრეწველობამ შეასრულა მეხუთე ხუთწლედი

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა, საქალაქო და რაიონულმა სამრეწველო კომბინატებმა 1 ნოემბრისათვის შეასრულეს მეხუთე ხუთწლედის დავალება. განვლილი 4 წლისა და 10 თვის განმავლობაში გამოშვებულია 1.795.587.700 მანეთის სამრეწველო პროდუქცია, ნაცვლად ხუთწლედით გათვალისწინებული 1.750.883 ათასი მანეთისა.

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა იკისრეს წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოუშვან 100 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია.

სასოფლო-სამეურნეო სკოლა

ხაშური. (საკ. კორ.). 1 ნოემბერს ქალაქ ხაშურში მეცადინეობას შეუდგა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო სკოლა.

სკოლამ უნდა მოამზადოს მემინდვრეობის ბრიგადების ბრიგადირები, მეცხოველეობის ფერმების გამგეები.

ამჟამად აქ სწავლობს 120 კოლმეურნე, რომლებიც მოვლინებული არიან ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონიდან. სკოლას აქვს კარგი შენობა, სასწავლო კაბინეტები, საცდელი ნაკვეთი და სხვ., აგრეთვე საერთო საცხოვრებელი.

ციტრუსოვანთა ნაყოფი — მოსკოვის, ლენინგრადის, როსტოვის, თბილისის მშრომელებს

ბათუმი. (საკ. კორ.). დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 38-ე წლისთავის დღეებში ბათუმისა და ქობულეთის რაიონების მეციტრუსეებმა უფრო გააძლიერეს ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფა-გადამუშავების ტემპი. 11 ნოემბრისათვის მოკრეფილი და გადამუშავებულია 13.500 ათასი ცალი ნაყოფი.

მოსკოვის, ლენინგრადის, როსტოვისა და თბილისის მშრომელებს აჭარის ასს რესპუბლიკიდან გაეგზავნა 350.000 კილოგრამზე მეტი ციტრუსოვანთა ნაყოფი. მარტო ბათუმის მესამე შემფუთავმა ქარხანამ გადაამუშავა 237 ათასი კილოგრამი ნაყოფი.

ციტრუსოვანთა ნაყოფს უხვად კრეფენ ახალშენის, მახინჯაურის და ციხისძირის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობები. აღსანიშნავია გონიოელ და სარფელ კოლმეურნეთა წარმატება. მათ საკარმიდამო ნაკვეთებიდან 50.000 კილოგრამი ციტრუსოვანთა ნაყოფი ჩაბარეს სახელმწიფოს.

პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად



თბილისი. 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივმა წელს მასობრივად დაიწყო ახრუშუმის პარკის დამხარისხებელი მანქანების გამოშვება შუაზიისა და ამიერკავკასიის მეგარეშუმეებისათვის. **სურათზე:** მოწინავე ამწყობები (მარცხნიდან) ხ. ზოზიროვი და ა. ეგოროვი პარკის დამხარისხებელი მანქანის აწყობისას. ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ანაღდებენ ყრილობისათვის ნაკისრ ვალდებულებებს

ტყიბული. (ტელეგრაფით საკ. კორ.). ლენინის შახტის კოლექტივმა პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად იკისრა ხუთწლიანი გეგმის დავალება 15 ნოემბრისათვის შეესრულებინა. მეშახტეებმა ეს ვალდებულება ვადამდე პირნათლად გაანაღდეს. 9 ნოემბრის პირველ ცვლაში მეშახტეებმა დაიწყეს ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით ქვანახშირის ამოღება. 1950 წელთან შედარებით შახტში ქვანახშირის ამოღება 27,6 პროცენტით გაიზარდა, ხოლო ექსპლოატაციაზე მომუშავე თვითეული მუშის ზრდის ნაყოფიერება — 50,3 პროცენტით.

მოწინავე შახტის კოლექტივი ახლა პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დგას და გადაწყვეტილი აქვს წლის ბოლომდე ხუთწლედის გადამეტებით 75 ათას ტონაზე მეტი ქვანახშირი ამოიღოს. ეს ვალდებულებაც წარმატებით სრულდება.

მოწინავე საწარმოები

საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის საშინისტროს მოწინავე საწარმოებმა — ზეთის სატყეო-სამრეწველო მეურნეობის, ახალდაბის საავეჯო ფაბრიკის და თბილისის ფანერის ქარხნის კოლექტივებმა უკვე გაანაღდეს პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ნაკისრ ვალდებულებათა ერთი ნაწილი, ვადამდე შეასრულეს 1955 წლის გეგმები.

ზეთის სატყეო-სამრეწველო მეურნეობის კოლექტივმა წლიური საწარმოო გეგმა შეასრულა 1 ნოემბრისათვის: ხე-ტყის დამზადებისა 119,5 პროცენტით, სატრანსპორტო მაგისტრალებამდე ხე-ტყის მიზიდვისა — 105,9 პროცენტით და გამოზიდვისა — 106,6 პროცენტით.

ახალდაბის საავეჯო ფაბრიკამ წლიური საწარმოო გეგმა შეასრულა 4 ნოემბერს 100,4 პროცენტით, ხოლო თბილისის ფანერის ქარხნის კოლექტივმა ამავე დღისათვის წლიური გეგმა შეასრულა 100,5 პროცენტით.

გეგმების შესრულება

ახალქალაქის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა, გაიხარეს რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება, ვადამდე — 6 ნოემბრისათვის შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარებისა და სახელმწიფო შესყიდვის წლიური გეგმები. დამზადებულია 38.540 ცენტნერი რძე, 17.318 ცენტნერი ხორცი, 1.535 ცენტნერი მატყლი, 1.333.000 ცალი კვერცხი.

დამზადება გრძელდება.

რაიონის კოლმეურნეობებმა 4 ნოემბრისათვის შეასრულეს სილოსის ჩადების გეგმა. ჩადებულია 22.500 ტონა სილოსი, ანუ 11.500 ტონით მეტი, ვიდრე შარშან.

• • •

გარდაბნის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა ვადამდე — 1 ნოემბრისათვის შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარების, სახელმწიფო შესყიდვისა და ნატურანაზღაურების გეგმები. ხორცის ჩაბარების გეგმა შესრულებულია 102 პროცენტით, რძისა — 105,8 პროცენტით, კვერცხისა — 100,8 პროცენტით.

ნორვეგიის პრემიერ-მინისტრმა ე. ჰერჰარდსენმა დაათვალიერა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

საბჭოთა მთავრობის მოწვევით მოსკოვში სტუმრად მყოფმა ნორვეგიის პრემიერ-მინისტრმა ე. ჰერჰარდსენმა 11 ნოემბერს დაათვალიერა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. მასთან ერთად გამოფენა დაათვალიერა ნორვეგიის ვაჭრობის მინისტრმა ა. სკაუგმა.

ნორვეგიელმა სტუმრებმა დაათვალიერეს მთავარი პავილიონი, ლატვიის, საქართველოსა და სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკების პავილიონები, პავილიონი „სოფლის მეურნეობის მექანიზაცია და ელექტროფიკაცია“.

პავილიონების დათვალიერების შემდეგ ბ-ნმა ე. ჰერჰარდსენმა განაცხადა, რომ გამოფენამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე. (საკდესი).

მოსკოვში ჩამოვიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სავაჭრო დელეგაციის მეთაური

11 ნოემბერს მოსკოვში ჩამოვიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სავაჭრო დელეგაციის მეთაური — საგარეო ვაჭრობის მინისტრის პირველი მოადგილე ჯე-ჟენი.

ვნუკოვოს აეროდრომზე ამხ. ლი ჯე-ჟენსა და მის თანმხლებ პირებს შეხვდნენ: სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ი. თ. სემიჩასტნოვი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს აღმოსავლეთის სამმართველოს უფროსი მ. ი. სლადკოვსკი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს აღმოსავლეთის სამმართველოს ჩინეთის განყოფილების უფროსი ლ. ე. სემენასი და სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს საოქმო განყოფილების უფროსი ი. ს. ანდრიენკო.

ამხ. ლი ჯე-ჟენს შეხვდნენ აგრეთვე სსრ კავშირში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს თანამშრომლები და სავაჭრო დელეგაციის წევრები, რომლებიც უფრო ადრე ჩამოვიდნენ მოსკოვში.

500-ფონიანი მარგენის ღუმელი

ხარკოვი. ვოროშილოვის სახელობის მეტალურგიულ ქარხანაში (დონბასი) ამონტაჟებენ 500 ტონის ტევადობის მარტენის ღუმელს, რომელიც პირველია საბჭოთა კავშირში. ამ მძლავრი მარტენის პროექტი დამუშავა ფოლადის მრეწველობის დამპროექტებელი სახელმწიფო საკავშირო ინსტიტუტის ინჟინერთა კოლექტივმა.

როგორც ინსტიტუტის მთავარმა ინჟინერმა ამხ. ნოვგოროდცევმა საკდესის კორესპონდენტს განუცხადა, ამ ღუმელში ყველა ტექნოლოგიური პროცესი მექანიზებული იქნება. (საკდესი).

დარბაზობა ნორვეგიის საელჩოში

ნორვეგიის პრემიერ-მინისტრ ე. ჰერჰარდსენის მოსკოვს ყოფნასთან დაკავშირებით ნორვეგიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სსრ კავშირში ე. ბროდლანდმა 12 ნოემბერს დარბაზობა გამართა.

დარბაზობაზე იყვნენ ბ-ნი ე. ჰერჰარდსენი და მისი მეუღლე ქ-ნი ვ. ჰერჰარდსენი, ნორვეგიის ვაჭრობის მინისტრი ა. სკაუგი და მისი მეუღლე ქ-ნი ი. სკაუგი და პრემიერ-მინისტრთან ჩამოსული სხვა პირები, აგრეთვე სსრ კავშირში მყოფი ნორვეგიის სავაჭრო დელეგაციის მეთაური ს. სომერფელტი და დელეგაციის წევრები.

საბჭოთა კავშირის მხრივ დარბაზობაზე იყვნენ ნ. ა. ბულგანინი, ა. ი. მიქოიანი, მ. ზ. საბუროვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ა. ბ. არისტოვი, პ. ნ. პოსპელოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ა. ნ. კოსიგინი, ვ. ა. კუჩერენკო, ი. თ. თევოსიანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ა. პ. ვოლკოვი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. მ. პუზანოვი, სსრ კავშირის მინისტრები: კ. პ. გორშენინი, ნ. ა. დიგაი, ვ. პ. ელიუტინი, ვ. გ. ჟავორონკოვი, ა. ა. იშკოვი, ი. გ. კაბანოვი, მ. დ. კოვრიგინა, ს. ნ. კრუგლოვი, თ. გ. ლოგინოვი, ნ. ა. მიხაილოვი, დ. ვ. პავლოვი, კ. დ. პეტუხოვი, ზ. ა. შაშკოვი, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ნ. კ. ბაიბაკოვი, საბჭოთა კავშირის მარშლები ი. ქ. ბაგრამიანი, ს. ს. ბირიუზოვი, ს. მ. ბუდიონი და კ. ა. მერეცკოვი, არმიის გენერალი ი. ა. სეროვი, ეკონომიური ურთიერთობის საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსი კ. ი. კოვალი, საკდესის პასუხისმგებელი ხელმძღვანელი ნ. გ. პალგუნოვი, საგარეო ვაჭრობის მინისტრის პირველი მოადგილე ს. ა. ბორისოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები ვ. ა. ზორინი და ვ. ს. სემიონოვი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ა. ნ. ნესმეიანოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოადგილე ა. თ. გორკინი, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ნორვეგიაში გ. პ. არკადიევი, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. ა. იასნოვი, საბჭოთა კავშირის უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე ა. ი. დენისოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ოქმის უფროსი ე. ა. ტარაბრინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სკანდინავიის ქვეყნების განყოფილების გამგის მოადგილე ს. ა. აფანასიევი, ქალაქ მოსკოვის კომენდანტი გენერალ-მაიორი ი. ს. კოლესნიკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, საგარეო ვაჭრობის სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები, საბჭოთა კულტურის მოღვაწეები.

სტუმართა შორის იყვნენ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, რომლებიც აკრედიტებული არიან მოსკოვში, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები. (საკდესი).

ნორვეგიის პრემიერ-მინისტრი ე. ჰერჰარდსენი სსრ კავშირის დიდ თეატრში

II ნოემბერს ნორვეგიის პრემიერ-მინისტრი ე. ჰერჰარდსენი სსრ კავშირის დიდ თეატრში დაესწრო ბ. ასაფიევის ბალეტს „ბაღჩისარაის შადრევანს“.

ნორვეგიის და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ცენტრალურ ლოჟაში იყვნენ ბ-ნი ე. ჰერჰარდსენი და მისი მეუღლე, ნორვეგიის ვაჭრობის მინისტრი ა. სკაუგი და მისი მეუღლე, ნორვეგიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ე. ბროდლანდი და მისი მეუღლე, ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის განყოფილების უფროსი ო. ოსი, ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური განყოფილების ბიუროს უფროსი გ. ჰიბერგი.

ნორვეგიელ სტუმრებთან ერთად სპექტაკლს დაესწრნენ: ნ. ა. ბულგანინი, ა. ი. მიქოიანი, ნ. ს. ხრუშჩოვი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ნ. ა. მიხაილოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები ვ. ა. ზორინი და ვ. ს. სემიონოვი, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ნორვეგიაში გ. პ. არკადიევი, საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი ნ. ვ. პოპოვა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ოქმის უფროსი ე. ა. ტარაბრინი.

თეატრში იყვნენ აგრეთვე მოსკოვში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, ნორვეგიის სავაჭრო დელეგაციის ხელმძღვანელი ს. სომერფელტი და დელეგაციის წევრები.

სპექტაკლის დაწყების წინ შესრულებულ იქნა ნორვეგიისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები. (საკდესი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ა. ი. მიქოიანისა და ნორვეგიის ვაჭრობის მინისტრ ა. სკაუგის მოლაპარაკება

12 ნოემბერს გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ა. ი. მიქოიანისა და ნორვეგიის ვაჭრობის მინისტრ ა. სკაუგის შეხვედრა. ამ შეხვედრის დროს, რომელიც სრული ურთიერთგაგების ატმოსფეროში მიმდინარეობდა, განიხილეს სსრ კავშირისა და ნორვეგიის ეკონომიური ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხები.

მოლაპარაკებას დაესწრნენ: ნორვეგიის მხრივ — ნორვეგიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ე. ბროდლანდი, ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური განყოფილების ბიუროს უფროსი გ. ჰიბერგი, ნორვეგიის სავაჭრო დელეგაციის მეთაური სომერფელტი და დელეგაციის წევრები; საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ი. გ. კაბანოვი, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ნორვეგიაში გ. პ. არკადიევი, სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი ნორვეგიაში ა. ტ. ავერჩევი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს დასავლეთის ქვეყნებთან ვაჭრობის სამმართველოს უფროსის მოადგილე ვ. ვ. მორდვინოვი; სსრ კავშირის ელექტროსადგურების სამინისტროს წარმომადგენელი გ. ვ. სმირნოვი.

„დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 38-ე წლისთავი“

გამოქვეყნდა ბროშურა ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩის მოხსენების ტექსტით

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ ბროშურად გამოსცა ტექსტი ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩის მოხსენებისა მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე 1955 წლის 6 ნოემბერს — „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 38-ე წლისთავი“.

ბროშურა გამოვიდა მასობრივი ტირაჟით. (საკდესი).

პარტიული ცხოვრება

მეცხოველეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში

ყოველთვის, როცა წითელწყაროს რაიონში მეცხოველეობის განვითარების შედეგებს აჯამებდნენ, ჩამორჩენილთა შორის იხსენიებდნენ სოფელ წითელწყაროს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობას. 1953 წელს კოლმეურნეობაში თვითეულ საფურაქე ძროხაზე 850 კილოგრამის ნაცვლად 410 კილოგრამი რძე მიიღეს, ხოლო 1954 წელს 535 კილოგრამი. ასეთი შეუწყნარებელი ჩამორჩენა იმით იყო გამოწვეული, რომ ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა პირუტყვის მოვლა-პატრონობას, მის ჯიშობრივ გაუმჯობესებას. ფერმებში დამკვიდრებული იყო ძროხების ჯოგური ძოვების წესი, იყო მოზარდეულის სიკვდილიანობის შემთხვევები.

გასულ წელს კოლმეურნეობის გამგეობამ და პარტიულმა ორგანიზაციამ მთელი პასუხისმგებლობით მოჰკიდეს ხელი მეცხოველეობის აღმავლობის საქმეს. განხორციელდა ღონისძიებანი პირუტყვის მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებისათვის, ფერმების მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებისა და სადგომების მშენებლობის დაჩქარებისათვის.

კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის კრებაზე განხილეს მეცხოველეობის განვითარების საკითხი, რომლის შესწავლასა და მომზადებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო კომუნისტთა ფართო წრემ. პარტბიუროს წევრები გულდასმით გაეცნენ მეცხოველეობის მუშაკთა საქმიანობას, მათი მომზადებისა და მუშაობის პირობებს, პირუტყვის მოვლისა და კვების მდგომარეობას, გამოავლინეს არსებული გამოუყენებელი რეზერვები.

პარტიულმა კრებამ საქმიან ვითარებაში ჩაიარა და დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. კომუნისტები ენერგიულად შეუდგნენ კრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელებას. პირუტყვის ბაგურ-ბანაკურ კვებაზე გადასაყვანად აიგო კეთილმოწყობილი ბინა 100 ძროხისათვის. დიდი მუშაობა იქნა გაწეული მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად. წელს ერთიორად გადიდდა პირუტყვის საკვები კულტურების ნათესი ფართობი, ფერმისპირა ნაკვეთებზე 80 ჰექტარი სიმინდი, 14 ჰექტარი საზამთრო, 5 ჰექტარი გოგრა და 32 ჰექტარი ჭარხალი დაითესა. ამ ნათესებიდან მიღებული საკვები დიდად დაეხმარა მეცხოველეებს ბაგაზე მყოფი პირუტყვის გამოკვების საქმეში.

წელს სილოსის დამზადების გეგმის შესასრულებლად ნაყოფიერი მუშაობა იქნა გაწეული კოლმეურნეობაში. პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით შემუშავდა სილოსის დროულად და მაღალხარისხოვნად დამზადების კონკრეტული გეგმა. კომუნისტთა და კომკავშირელთა აქტიური მონაწილეობით კოლმეურნეობაში ხუთჯერ მოეწყო შაბათობა, რის შედეგად უზრუნველყოფილ იქნა 1.850 ტონა სილოსის დამზადება. ამრიგად, თვითეული საფურაქე ძროხისათვის უკვე ჩადებულია 7 ტონა სილოსი.

მიმდინარე წელს წითელწყაროს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში მკვეთრად ამაღლდა მეწველი პირუტყვის პროდუქტიულობა. სამეურნეო წლის მარტო ათ თვეში თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიღებულია 1.303 კილოგრამი რძე, რაც ორჯერ აღემატება გასული წლის მაჩვენებლებს. კოლმეურნეები დიდ ყურადღებას აქცევენ ჯანსაღი პირუტყვის გაზრდას. მოწინავე მწველავებმა მ. შანშიაშვილმა, ს. მაძღარაშვილმა, ხ. ალილ-ოღლიმ მოსავლელად მიჩენილ თვითეულ ძროხაზე თითო სული ნამატი მიიღეს და გაზარდეს. ხროების გაზრდის საქმეში მათ უნარიანად გამოიყენეს კარავაეოელ მეცხოველეთა მოწინავე გამოცდილება.

ამ დღეებში გაიმართა პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება. კომუნისტებმა, რომელთაც გულდასმით განიხილეს პარტორგანიზაციის მდივნის საანგარიშო მოხსენება, თავიანთ გამოსვლებში დიდი ყურადღება დაუთმეს მეცხოველეობის განვითარების, პირუტყვის სანიმუშოდ გამოზამორებისათვის მზადების საკითხებს. კომუნისტები იმისათვის ზრუნავენ, რომ 1956 წელს შემდგომ გაიზარდოს საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობა და მისი პროდუქტიულობა. ფერმაში მომუშავე აგიტატორები ფ. ნატროშვილი და ი. შანშიაშვილი ფართოდ აცნობენ მწყემსებსა და მწველავებს მოწინავე მეცხოველეთა გამოცდილებას, პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებს, რაზმავენ მათ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

ბ. ჯინჭარაძე,
გაზეთ „ახალი შირაქის“ რედაქტორის მოადგილე.



თბილისი. კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში შეუდგენენ მილების სავალცავი ჩარხის აწყობას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში გასაგზავნად. სურათზე: მილსავალცავი ჩარხის აწყობის მომენტი.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

საწარმოთა ხელმძღვანელები გვწერენ

ავტომობილმშენებელთა წარმატებანი

წელს განვლილი პერიოდი ახალი ტექნიკისათვის ბრძოლის ფრონტზე მოპოვებული მრავალი გამარჯვებით აღინიშნა ქუთაისის საავტომობილო ქარხნის კოლექტივმა. ამ ხნის განმავლობაში ათვისებულია 125 სხვადასხვა დეტალის წარმოება, შექმნილია ახალი მანქანები, ათი განვლილი თვის გეგმა სასაქონლო პროდუქციის გამოშვების დარგში შესრულებულია 100,2 პროცენტით.

გასული წლის ოქტომბრიდან დღემდე ქუთაისელმა ავტომობილმშენებლებმა შექმნეს ბამბის შეუფუთავად საზიდი ავტომობილი-მატარებელი, რომლის პრაქტიკულად გამოცდა ახლა მიმდინარეობს. ერთ-ერთი ასეთი მატარებელი ექსპონირებულია სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

დამთავრებულია ქუთაისში კონსტრუირებული გვერდით დასაყრავებელი თვითსაცლელი ავტომობილის გამოცდა. ორი ასეთი თვითსაცლელი ავტომანქანა წარდგენილია მისაღები გამოცდისათვის. ამ თვითსაცლელების სერიულად გამოშვებას ქარხნის კოლექტივი მომავალი წლიდან შეუდგება.

დამთავრდა აქვე კონსტრუირებული მსუბუქპლატფორმიანი ტელესკოპური ჰიდროამწითა და ზეთის ტუმბოსთან აგრეგირებული სიმძლავრის ამღები კოლოფით აღჭურვილი ახალი თვითსაცლელი ავტომანქანების საქარხნო გამოცდა.

მ. რამიშვილის ასეთმა განმარტებამ უფროსი ბუხჰალტრის აღელვება დაიცხრო.

ამეტყველდნენ უფროსის მაამებელი ადამიანები, დახურული პარტიული კრება ნ. შიუკაშვილის წინააღმდეგ წარიმართა.

კრებამ ასეთი დადგენილება მიიღო:

I. „უბნის უფროსის ბრძანება უბნის ბუხჰალტერ შიუკაშვილის მიმართ, როგორც მოლაყბე, როგორც სუსტი მუშაკი ჩაითვალოს შესაფერისად და სწამდვილედ“.

II. „აღმოიფხვრას უბნის თანამშრომლებში მოლაყბეობა, სუსტი მუშაობა“. (ოქმის სტილი დაცულია).

კრება დამთავრდა. ის იყო კომუნისტები აიშალნენ, რომ ვიღაცას მოაგონდა და დაიძახა:

— შიუკაშვილი უპარტიოა!

დუმილი ჩამოვარდა. კრების მონაწილეთა სახეზე გაკვირვება გამოიხატა. ისინი გვიან გამოერკვნენ. რა უნდა ექნათ?

კომუნისტები ისევ რამიშვილმა გამოიყვანა „მდგომარეობიდან“: დავუშვათ, როგორც გამონაკლისი.

ლაგოდეხის რაიონის სახალხო სასამართლოს უკანონოდ მოხსნილი ნ. შიუკაშვილი თავის თანამდებობაზე აღადგინა.

რამიშვილი გაჯიუტდა:

— არ აღვადგენ, უფროსი ვარ, ვთქვი და მორჩა...

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ ლაგოდეხის რაიონის სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება სწორად ცნო და ძალაში დატოვა.

გადიოდა თვეები. მ. რამიშვილი არც უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებას დაემორჩილა. მაგრამ როცა საქმეში პარტიის ლაგოდეხის რაიკომი ჩაერია, მაშინ კი იკადრა რამიშვილმა შიუკაშვილის აღდგენა. მაგრამ რა გამოვიდა? თვეც არ იყო გასული, რომ ნ. შიუკაშვილს კვლავ დაატყდა თავს უფროსის რისხვა, იგი მეორეჯერ მოხსნეს სამუშაოდან.

გფიქრობთ, პარტიის ლაგოდეხის რაიონული კომიტეტი ახლა უფრო მტკიცედ მოჰკიდებს ხელს ამ საქმეს და სათანადო შეფასებას მისცემს გათავხედებული რამიშვილის მოქმედებას, რომელმაც უდანაშაულოდ შეურაცხყო და დასაჯა სამამულო ომში დაღუპული მეომრის მეუღლე.

ბ. ხეჩუაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ახირებული ხასიათი

კონფლიქტი სრულიად უბრალოდ დაიწყო:

მეთექვსმეტე საგზაო უბნის უფროსის კაბინეტში ბუხჰალტერი ნადია შიუკაშვილი შევიდა.

— პატარა ბავშვი მყავს, ქმარი სამამულო ომში დაეღუპა. მე გულით ავადმყოფი ვარ. შუშა მაქვს გადმოსატანი, თუ შესაძლებელია ავტომანქანა მათხოვეთ, ხარჯებს ავანაზღაურებ.

— მანქანა გათხოვო! მამაჩემის საკუთრება ხომ არა გგონია? — მკაცრად უპასუხა უბნის უფროსმა მ. რამიშვილმა და ირონიულად აათვალიერა „თავხედი“ თანამშრომელი.

— უცხო პირებს თუ კი აძლევთ, მე...

— მოლაყბე, ჭორიკანა! გამეცალე! — მაგიდაზე ძლიერად დაჰკრა ხელი „შეურაცხყოფილმა“ უფროსმა.

სახეაწითლებული ნ. შიუკაშვილი კაბინეტიდან გამოვიდა.

— მე შენ გაჩვენებ უფროსისადმი ურჩობას! — ბობოქრობდა უბნის უფროსი.

გაციებული თონე პურს ვერ დაიკრავსო, — გაიფიქრა მ. რამიშვილმა და იქვე ბრძანება დაწერა: „მოლაყბეობისა და სუსტი მუშაობისათვის უბნის ბუხჰალტერი ნ. შიუკაშვილი განთავისუფლდეს სამუშაოდან“...

ნ. შიუკაშვილმა პროფკავშირის საკონფლიქტო კომისიას მიმართა. კომისიამ ნ. შიუკაშვილი სამუშაოზე აღადგინა, როგორც უსაფუძვლოდ მოხსნილი.

გაცეცხლებულმა უფროსმა ხელქვეითები აამოქმედა, მოითხოვა მათგან მხარდაჭერა. პირველ რიგში პარტბიუროს მდივანი მოიხმო და წინადადება მისცა დაუყოვნებლივ მოეწვია დახურული პარტიული კრება. მდივანი მორჩილად გაბრუნდა, არც კი უკითხავს უფროსისათვის, კრებაზე რა საკითხი უნდა განეხილათ.

კრების წინ კომუნისტები პარტორგანიზაციის მდივანს ეკითხებოდნენ, თუ რა საკითხი იდგა დღის წესრიგში. რა უნდა ეპასუხნა, თვითონაც არაფერი იცოდა.

კრება დაიწყო... პარტორგანიზაციის მდივანმა დღის წესრიგისათვის სიტყვა მ. რამიშვილს მისცა.

— კრების დღის წესრიგში ერთი საკითხია, ბუხჰალტრის სუსტი მუშაობა...

— რაო! — წამოვარდა უბნის მთავარი ბუხჰალტერი ივანე მეტრეველი, — ვინ შემამოწმა. პროტესტს ვაცხადებ დღის წესრიგზე.

— ჩვენ ბუხჰალტერ ნ. შიუკაშვილზე ვლაპარაკობთ. იგი მოლაყბე და აუტანელი ადამიანია, [illegible] კია.

ამ ტყეველდნენ უფროსის მაამებელი ადამიანები, დახურული პარტიული კრება ნ. შიუკაშვილის წინააღმდეგ წარიმართა.

კრებამ ასეთი დადგენილება მიიღო:

I. „უბნის უფროსის ბრძანება უბნის ბუხჰალტერ შიუკაშვილის მიმართ, როგორც მოლაყბე, როგორც სუსტი მუშაკი ჩაითვალოს შესაფერისად და სწამდვილედ“.

II. „აღმოიფხვრას უბნის თანამშრომლებში მოლაყბეობა, სუსტი მუშაობა“. (ოქმის სტილი დაცულია).

კრება დამთავრდა. ის იყო კომუნისტები აიშალნენ, რომ ვიღაცას მოაგონდა და დაიძახა:

— შიუკაშვილი უპარტიოა!

დუმილი ჩამოვარდა. კრების მონაწილეთა სახეზე გაკვირვება გამოიხატა. ისინი გვიან გამოერკვნენ. რა უნდა ექნათ?

კომუნისტები ისევ რამიშვილმა გამოიყვანა „მდგომარეობიდან“: დავუშვათ, როგორც გამონაკლისი.

ლაგოდეხის რაიონის სახალხო სასამართლოს უკანონოდ მოხსნილი ნ. შიუკაშვილი თავის თანამდებობაზე აღადგინა.

რამიშვილი გაჯიუტდა:

— არ აღვადგენ, უფროსი ვარ, ვთქვი და მორჩა...

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ ლაგოდეხის რაიონის სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება სწორად ცნო და ძალაში დატოვა.

გადიოდა თვეები. მ. რამიშვილი არც უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებას დაემორჩილა. მაგრამ როცა საქმეში პარტიის ლაგოდეხის რაიკომი ჩაერია, მაშინ კი იკადრა რამიშვილმა შიუკაშვილის აღდგენა. მაგრამ რა გამოვიდა? თვეც არ იყო გასული, რომ ნ. შიუკაშვილს კვლავ დაატყდა თავს უფროსის რისხვა, იგი მეორეჯერ მოხსნეს სამუშაოდან.

გფიქრობთ, პარტიის ლაგოდეხის რაიონული კომიტეტი ახლა უფრო მტკიცედ მოჰკიდებს ხელს ამ საქმეს და სათანადო შეფასებას მისცემს გათავხედებული რამიშვილის მოქმედებას, რომელმაც უდანაშაულოდ შეურაცხყო და დასაჯა სამამულო ომში დაღუპული მეომრის მეუღლე.

ბ. ხეჩუაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ეკონომიკურ ფრონტზე

ბრძოლა ეფექტიანობისა

აღმავლობის გზით

უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე ჩვენი ქარხნის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა: ამუშავდა კოქსქიმიური საამქრო ორი საკოქსე ბატარეით, საექსპლოატაციოდ გადაეცა ტექნიკის უკანასკნელ მიღწევათა მიხედვით აღჭურვილი მეორე ბრძმედი, საგლინერაციო ფაბრიკა, მარტენის საამქროს დაემატა სიმეტრო განყოფილება, წვრილსორტულ საამქროში ათვისების პროცესშია მავთულსაგლინავი დგანი — 260 და ა. შ.

ახალი ობიექტების ამუშავებამ კიდევ უფრო სრულყოფილი გახადა მეტალურგიული წარმოების ციკლი, გაზარდა პროდუქციის გამოშვება.

ქარხანას წინსვლისა და ზრდის კიდევ უფრო მეტი პერსპექტივები აქვს ახლო მომავალში. მიმდინარე წლის ბოლოსათვის მოქმედ საწარმოთა მწყობრში ჩადგება ფურცელსაგლინავი საამქრო, ამუშავებულ იქნება საგლინერაციო ფაბრიკის მეორე ნაკადი, რაც საშუალებას მოგვცემს ბრძმედის კახშში გავადიდოთ აგლომერატის ხვედრითი წონა და ამის შედეგად გავზარდოთ ბრძმედების წარმადობა.

ახალი ობიექტების ამუშავებითა და არსებულ სიმძლავრეთა უფრო რაციონალურად გამოყენებით მარტო 1956 წელს მიმდინარე წელთან შედარებით საერთო პროდუქციის გამოშვება სულ ცოტა 15 პროცენტით გადიდდება.

ს. შარაძენიძე,
სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მთავარი ინჟინრის მოადგილე.

აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა სემინარი

ამბროლაური. (საკ. კორ.). პარტიის რაიკომმა მოაწყო აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა სემინარი. სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენება ჟურნალ-გაზეთებზე ხელის მოწერის მიმდინარეობისა და „წიგნის ერთთვიურის“ ორგანიზებულად ჩატარების შესახებ.

აგიტკოლექტივების ხელმძღვანელებს მიეცათ მითითება აგიტატორთა საშუალებით ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა გააჩაღონ მოსახლეობაში და დაეხმარონ მშრომელებს ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების გამოწერის საქმეში.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

ჩვენი გაზეთის მკითხველი გვწერდა, რომ ტყიბულის სავაჭრო და საზეკეების ქსელში იყო ვაჭრობის წესების დარღვევის ფაქტები. წერილი ზომების მისაღებად გადაეგზავნა საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, რომელიც გვატყობინებს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა.

საკითხი განხილა ტყიბულის რაისაბჭოს აღმასკომმა, ვაჭრობის წესების უხეში დარღვევისათვის ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის მუშათა მომარაგების განყოფილების № 5 მაღაზიის გამგე ჩაჩაშვილი და № 1 ფარფლის გამგე რაფიელოვი სამსახურიდან მოხსნილი და პასუხისგებაში მიეცემული არიან.

მუშათა მომარაგების განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელ კაზიშვილს საავაჭრო ქსელისადმი სუსტი ხელმძღვანელობისათვის გამოეცხადა საყვედური, დახლის მუშაკებს კვირეეშვილს, გოგელაშვილს, წერეთელს და გოგლიძეს დაედოთ ადმინისტრაციული სასჯელი.

სასიხარულო ცვლილებები

ამ ზაფხულს კასპიისპირეთში განსაკუთრებით აუტანელი ბუღი იდგა. აპრილიდან დაწყებული ცამ პირი შეკრა და მოწყურებულ მიწას წვეთი რა არის, ისიც არ აღირსა. შუა აზიის ქარაშოტმა ისედაც მორუხო მინდვრები მთლად გადახრუკა და ყველაფერი ნაცრისფრად შემოსა.

თითქოს გიგანტურ ხანძარს გადაევლო ყველგან, და ქართველ მწყემსებს, რომლებიც ნოღაეთში თივის ასაღებად წავიდნენ, კარგი განწყობილება როდი შეექმნათ. ისინი გასცქეროდნენ ერთფეროვან, ადგილ-ადგილ ზღვის ტალღებივით შემაღლებულ მიდამოს და გულდაწყვეტით ამბობდნენ:

— ამ თაკარაში ბალახი კი არა, ტყე გადახმება, კიდევ კარგი შარშანდელი თივა გვაქვს, თორემ ვინ იცის, რა გველოდა.

დიდი საზრუნავი გაუჩნდათ ადამიანებს. საჭირო გახდა კასპიისპირეთის უზარმაზარი ტერიტორიის დაზვერვა, რათა ეპოვნათ ისეთი ადგილები, სადაც თივის აღება შეიძლებოდა. საძოვრების ძირითადი მასივიდან ორას კილომეტრზე ასეთი ფართობი აღმოჩნდა, ცოტაოდენი ბალახი იყო აგრეთვე ზღვის სანაპიროზე — ბირუზიაკის რაიონში. საქართველოს მეცხოველეობის სამანქანო სადგურის მუშაკებმა და განსაკუთრებით ახმეტელმა კოლმეურნეებმა წარმატებით იმუშავეს თივის აღებაზე და საკვების ძირითადი მარაგი კიდევ უფრო გაზარდეს.

...სასიამოვნოა ახლა ნოღაეთში ყოფნა. მართალია, სანატრელი წვიმა ჯერ არ ჩანს, მაგრამ ჰაერში მაინც სიგრილე იგრძნობა, ღამღამობით ცივა კიდეც. სინესტით გაჟღენთილი ნისლი, რომელიც გათენების წინ კასპიის ზღვიდან მოფარფატებს, მზის ამოსვლისას წყლის წვეთებად იქცევა და მილიარდ მარგალიტად ეფრქვევა მიწას.

დიდი სიხარულით უახლოვდებიან ქართველი მოზამთრეები ნაცნობ ადგილებს. ეს სიხარული გამოწვეულია არა მარტო ბუნების ფერისცვალებით, არამედ იმ დიდი ჭეშმარიტად სასიხარულო ცვლილებებით, რაც უკანასკნელ ხანს ნოღაეთში მოხდა.

* * *

სუსხიანი ზამთარი იყო.

მორიგეობისაგან თავისუფალი მწყემსი მიწურ ქოხში შუა ცეცხლის დანთებას ცდილობდა, დასველებული ჩალის ღეროები შიშინით ხრჩოლავდნენ და ნახევრად წაწოლილი მოხუცი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, უბერავდა, — ეშმაკმა დაგლახვროსო, — თქვა და რომ არაფერი გამოუვიდა, კვამლისაგან აცრემლებული თვალები სახელოთი შეიწმინდა.

მაშინღა შეგვამჩნია. ეტყობოდა უხერხულად იგრძნო თავი უცხო ხალხის წინაშე, რადგან ტანსაცმელი დახეოდა და გაჭაღარავებულ წვერულვაშზე ჭვარტლის ნაკვალევი დასტყობოდა.

ეს იყო სამი წლის წინათ — ნოღაის ველზე — სოფელ ლაფანაანთკარის ღეცხვარეთა ბინაში. ცუდად ცხოვრობდნენ მაშინ ქართველი მწყემსები, კოლმეურნეობათა ზოგი ხელმძღვანელი ზედმეტად თვლიდა მწყემსებისათვის საცხოვრებელი სახლის აგებას. მეცხვარემ რომ ღამე ლოგინში გაატაროს, ცხვარს კარგად ვერ მოუვლისო, ამბობდნენ ისინი. რა თქმა უნდა, აქ თავის როლს თამაშობდა ძველი ტრადიცია, საუკუნეობით დამკვიდრებული წესები.

ახლა იმ მიწურის მახლობლად თეთრად შელესილი ახალი სახლები დგას. ეს იმავე სოფლის მწყემსთა ცენტრალური ბინაა. აქ არის ოთხოთახიანი, იატაკნაგები საცხოვრებელი, რომელშიც მწკრივებად დაულაგებიათ თეთრად გაქათქათებული საწოლები, აქვეა წითელი კუთხე, სასადილო, სამზარეულო, აბანო, საკუჭნაო...

მართლ ლაფანაანთკარელებს კი არა აქვთ ასეთი ბინა. მშვენიერი სახლები აუგიათ მწყემსებისათვის მაქართელ, მლეთელ, გუდამაყრელ კოლმეურნეებს. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ. ჩვენი რესპუბლიკის უმრავლეს ფერმებს ახლა კასპიისპირეთში აქვთ კულტურულად მოწყობილი საცხოვრებლები, მაგრამ როგორც იტყვიან, მჯობნის მჯობნი არ დაილევა, — თავისი კეთილმოწყობით და სანიმუშო სისუფთავით მაინც გამოირჩევა დუშეთისა და ლენინგორის რაიონების მწყემსთა სახლები.

აქ, ნახევრადუდაბნოში, თეთრი ბალტიკით გაფანტულ ბინებში მყუდროება და წესრიგია. ნამდვილად სამკურნალო დაწესებულებებს მოგაგონებთ მაქართის, მლეთის, უკანამხრის და ლარგვისის კოლმეურნეობათა სახლები.

მორიგეობას რომ მორჩება, მწყემსს შეუძლია მივიდეს სახლში, იბანაოს, მიიღოს ცხელი კერძი, წაიკითხოს ჟურნალ-გაზეთები, მოუსმინოს რადიოს და გულდამშვიდებით მოისვენოს სუფთა ლოგინში.

თუ რა დიდი მასშტაბის მშენებლობა შესრულდა კასპიისპირეთში, ამას მოწმობენ ციფრები. მარტო დუშეთის რაიონის კოლმეურნეობებმა უკანასკნელი ორი წლის მანძილზე მწყემსებისათვის ააგეს 34 ახალი სახლი. სულ რაიონის საძოვრებში გაფანტულია 51 კეთილმოწყობილი სახლი. ეს ნაგებობები ერთ ადგილს რომ გადაეტანათ, კარგა მოზრდილი დაბა გამოვიდოდა.

აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი მასალების გამოყენებით, სახლის აგება აქ მაინცდამაინც დიდ ხარჯებს არ მოითხოვს. სოფელ ჩარგლის ვაჟა-ფშაველას სახელობის კოლმეურნეობამ ამასწინათ ბაჯიგანის მასივში დაამთავრა ახალი ოთხოთახიანი სახლის აგება. როგორც თავმჯდომარის მოადგილემ ილია ზაჩიაშვილმა თქვა, ამ მშვენიერი სახლის მშენებლობაზე მხოლოდ ათი ათასამდე მანეთი დაიხარჯა.

ვინც მწყემსის გმირულ შრომას იცნობს, ვისაც სმენია მეცხვარის ხიფათიანი ცხოვრების ამბავი, იგი უსათუოდ მადლობით მოიხსენიებს იმათ, ვინც ასეთი შესანიშნავი პირობები შეუქმნა სამშობლოდან შორს, ნოღაის ტრიალ მინდვრებზე მყოფ მწყემსებს.

* * *

ჩორნი რინოკის კულტურის სახლში, რომელიც ქართველ მწყემსებს ემსახურება, ამასწინათ გაიხსნა გამოფენა.

ფართო და ნათელ დარბაზში ყურადღებას იპყრობს წითელ ფარჩაზე დაწერილი სიტყვები: „ფართოდ დავნერგოთ საზამთრო საძოვრებზე სიმინდის, ბაღჩეული და ბოსტნეული კულტურების თესვა“.

გამოფენაზე წარმოდგენილია მეცხვარეთა მშვენიერი თაოსნობის ნაყოფი — მკლავის სიმსხო ტარიები, კარტოფილი, კომბოსტო, კიტრი, ჭარხალი, ხახვი, წიწაკა. გაკვირვებას იწვევს ჩვიდმეტკილოგრამიანი საზამთრო, 27-კილოგრამიანი საკვები გოგრა. ეს ყველაფერი მოყვანილია მეცხვარეთა ხელით, ნოღაის ნახევრადუდაბნოში — არტეზიული ჭების მახლობლად.

დუშეთის რაიონის ჭართლის კოლმეურნეობამ წელს პირველად დათესა სიმინდი და ჰექტარზე ოთხ ტონამდე ტარო მიიღო. სიმინდის კარგი მოსავალი მიიღეს ლაფანაანთკარელმა და მლაშელმა კოლმეურნეებმა. ბაღჩეული და ბოსტნეული ეთესათ ლენინგორის, თიანეთის, ყაზბეგისა და ახმეტის რაიონების ფერმებს.

გამოფენის ექსპონატებს რომ ათვალიერებთ, რწმუნდებით, სიმინდისა და ბაღჩეულ-ბოსტნეული კულტურების განვითარების რა დიდი პერსპექტივებია ნოღაის ველზე. ამის მთავარი პირობაა წყალი. წყალი კი აქ არც ისე ცოტაა. საქართველოს გეოლოგიური სამმართველოს მუშაკთა განცხადებით საქართველოს საზამთრო საძოვრებზე არტეზიული ჭების საერთო დებიტი დღეღამეში 23 მილიონ ლიტრზე მეტია.

ეს იმას ნიშნავს, რომ არტეზიული ჭები ყოველ წამში იძლევიან 451 ლიტრ წყალს — დაახლოებით იმის ნახევარს, რასაც ამჟამად იძლევა ბულაჩაურის წყალსადენი. სამწუხაროდ, ეს წყალი გონივრულად არ არის გამოყენებული და მისი დიდი ნაწილი ფუჭად იკარგება. მომავალში საჭირო იქნება გეჯების გაკეთება, წყლის სარწყავად გამოყენება.

კოლმეურნეობებს შეუძლიათ მომავალ წელს ჩადონ სილოსი, ამისათვის მათ დიდ სამსახურს გაუწევს სიმინდის კულტურა. თვითეულ ცხვარზე 5-10 კილოგრამი სილოსის მომზადება მნიშვნელოვნად განამტკიცებდა პირუტყვის საკვებ ბაზას.

ამას გარდა, სიმინდის, ბაღჩეული და ბოსტნეული კულტურების ფართოდ გავრცელება მთლიანად უზრუნველყოფდა მწყემსებს საჭირო პროდუქტებით. საერთოდ ეს საქმე იმის ღირსია, რომ მას სერიოზულ ყურადღებას აქცევდნენ თვითეულ ფერმაში.

ოციოდე წლის წინათ შავი მიწებისა და ნოღაის ველის ბალახებს გულდასმით სწავლობდა პროფესორი ბეგუჩევი. იგი დაბეჯითებით მოითხოვდა საძოვრებზე ბალახის თესვის შემოღებას. საბოლოოდ, პროფესორ ბეგუჩევის ძვირფასი რჩევა წლების მანძილზე დავიწყებული იყო.

ახლა მდგომარეობა სწორდება. საქართველოს მომთაბარე კოლმეურნეობებმა შეიძინეს მაღალყუათიანი ბალახის — ჯაპუტას თესლი. უკვე დაიწყო ამ ბალახის თესვა. საძოვრების გაუმჯობესება და მათი პროდუქტიულობის ამაღლება ჩვენი მეცხვარეების სერიოზული საზრუნავი უნდა იყოს.

* * *

გულითადი მეგობარივით უყვარს მწყემსს წიგნი.

წარმოიდგინეთ კაცი, რომელიც მთელ დღეებს მარტოდმარტო ტრიალ მინდორში ატარებს. დილიდან სადამომდე მისთვის ხმის გამცემი არავინ არის. წყნარად ძოვს ცხვარი, ათასში ერთხელ ძაღლები თუ ატეხენ ყეფას, თორემ სხვა არაფერი არღვევს მყუდროებას.

ასეთ დროს მწყემსი გუდიდან ამოიღებს სათუთად შენახულ წიგნს და ფრთხილად გადაშლის. წიგნია მისი მეგობარი, ხვაშიადის გამზიარებელი და ერთადერთი მოსაუბრე.

უნდა გენახათ, რა სიყვარულით ფურცლავდნენ ახალ წიგნებს ხეშეული მწყემსები, როცა მათ თავიანთი სოფლის სამკითხველოს გამგე ვარა კობაძე ორჯონიკიძის მისადგომებთან დაეწია.

ბევრი რამ გაკეთდა წელს საზამთრო საძოვრებზე მწყემსთა კულტმომსახურების გაუმჯობესებისათვის. კაპიტალური რემონტი გაუკეთდა კულტურის სახლს ჩორნი რინოკში, საექსპლოატაციოდ გადაეცა კეთილმოწყობილი დარბაზი 150 კაცისათვის, გაიზარდა წიგნების ფონდი, შეძენილ იქნა 16 ათასი მანეთის ლიტერატურა. ასევე დიდძალი ლიტერატურა შეიძინეს მოძრავი ბიბლიოთეკისათვის.

ბაჯიგანის მასივზე, სადაც დუშეთისა და თიანეთის რაიონების კოლმეურნეობათა ცხვარი ზამთრობს, ახლახან გაიხსნა კლუბი. თუ ამას დავუმატებთ წითელ კუთხეებს მეცხვარეთა საცხოვრებლებში, ცხადი გახდება, რომ მწყემსებს ამ ზამთარს წიგნები და ჟურნალ-გაზეთები არ შემოკლდებათ.

რაც შეეხება კინოსურათების რეგულარულ ჩვენებას და კონცერტების გამართვას, მწყემსებს იმედი აქვთ, რომ ამ საქმეს არ დაივიწყებენ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსა და დედაქალაქის ხელოვნების მუშაკები.

* * *

ზამთარი მეცხვარეთა სერიოზული გამოცდაა. არავინ იცის, როგორი ამინდები იქნება მომავალში. შესაძლებელია ნოღაეთში ჩვეულებრივად თბილი ზამთარი დადგეს, შესაძლოა პირიქით მოხდეს. ვინ გაიგებს აქაური ბუნების მზაკვრულ ხასიათს. ერთი კი ცხადია — ქართველ მეცხვარეებს ამჟამად ყველაფერი აქვთ იმისათვის, რომ საუკეთესოდ გამოაზამთრონ ცხვარი, ასევე წარმატებით ჩაატარონ დოლი და ამით თავიანთი წვლილი შეტანონ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ მეცხვარეთა წინაშე დასახული ამოცანების მთლიანად განხორციელების საქმეში.

ვნახოთ, ვინ უკეთ ჩაბარებს რთულ გამოცდას.

ა. თოდაძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი,
ბაჯიგანი, ჩორნი რინოკი, გროზნოს ოლქი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის უნგრეთში გამგზავრების შესახებ

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრების თავმჯდომარემ შ. რონაიმ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარის ა. პ. ვოლკოვისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის ვ. ტ. ლაცისის სახელზე გამოგზავნა წერილები, რომლებშიც იუწყება, რომ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრებამ თავის უკანასკნელ სესიაზე მიიღო გადაწყვეტილება მიიწვიოს უნგრეთში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია.

შ. რონაის წერილებში აღნიშნულია, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის ჩასვლა უნგრეთში სამსახურს გაუწევს უნგრელი და საბჭოთა ხალხების ძმური ურთიერთობის გაღრმავების, მჭიდრო კავშირისა და ნაყოფიერი თანამშრომლობის ინტერესებს, რაც ხელს შეუწყობს ორივე ხალხისა და მთელი ევროპის მშვიდობის უზრუნველყოფას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ ა. პ. ვოლკოვმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ტ. ლაცისმა შ. რონაის გაუგზავნეს შემდეგი შინაარსის საპასუხო წერილი:

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო დიდ მადლობას უძღვნის უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრებას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის უნგრეთში მიწვევისათვის.

ამასთან გამოვთქვამთ რწმენას, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის უნგრეთში ჩასვლა ხელს შეუწყობს საბჭოთა და უნგრელი ხალხების თანამშრომლობისა და ძმური მეგობრობის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში გასამგზავრებლად დანიშნულია შემდეგი შემადგენლობით: დელეგაციის ხელმძღვანელი ნ. მ. პეგოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი, დელეგაციის წევრები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები — ა. ს. ბორისენკო, ე. პ. გონჩაროვა, გ. დ. ჯავახიშვილი, გ. ვ. ენიუტინი, პ. პ. ერმაკოვი, ა. პ. ჟურავლიოვი, ლ. ს. მატვეევა, პ. გ. მოსკატოვი, ა. ა. მიურისეპი, ზ. ს. ომაროვა, ნ. ი. სმირნოვი, ვ. ნ. ტიტოვი.

დელეგაცია ბუდაპეშტში გაემგზავრება 14 ნოემბერს.

სასოფლო-სამეურნეო კულტურის სახლში

ორ წელზე მეტია არსებობს სასოფლო-სამეურნეო კულტურის სახლი ციხისძირის რაიონის სოფელ ბოდბისხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. ამ ხნის განმავლობაში კულტურის სახლმა (გამგე აგრონომი კირა ალექსეევნა ფილი) მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია.

კულტურის სახლთან ჩამოყალიბებულია სამწლიანი აგროზოოტექნიკუმი კურსები, ლექტორიუმი და სხვადასხვა წრეები. კულტურის სახლი დიდ დახმარებას უწევს კოლმეურნეებს საბჭოთა აგროტექნიკის მიღწევების გაცნობის საქმეში. იგი უხვი მოსავლის მოწინავე მეთოდების პროპაგანდის კერაა.

წელს აქ 12 კოლმეურნემ დაამთავრა სამწლიანი აგროზოოტექნიკური კურსები.

ერთ-ერთმა მათგანმა მემინდვრეობის ბრიგადის ხელმძღვანელმა დ. მოლოდინაშვილმა აგროწესების მტკიცედ დაცვით ჩაატარა სიმინდის კვადრატულ-ბუდოსრივი წესით თესვა და ნათესების დამუშავება. ნათესებში ორჯერ მოაწყო ჯვარედინი კულტივაცია და თოხნა, შეიტანა სასუქები. თითო ბუდნაში ერთი-ორი მცენარე დატოვა, რამაც კარგი ნაყოფი გამოიღო. თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 35-40 ცენტნერი სიმინდი მიიღო.

კურსებზე მიღებული ცოდნა ასევე დაეხმარა მეცხოველეებს. გასულ სამეურნეო წელს კოლმეურნეობამ პირველად შეასრულა ძროხების წველადობის გეგმა.

ნაყოფიერად მუშაობს კულტსახლის ლექტორიუმი. მასში გაერთიანებული არიან კოლმეურნეობის ზოოვეტსპეციალისტები, აგრონომები, აგროტექნიკოსები, საშუალო სკოლის მასწავლებლები, სოფლის ექიმი და სხვ. წელს კულტურის სახლში, მინდვრად და მეცხოველეობის ფერმებში წაკითხული იქნა 200-ზე მეტი ლექცია-მოხსენება.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ექსპონატებს ბულდასმით გაეცნენ მემინდვრეობის ბრიგადირები ნიკოლოზ ტუხაშვილი და დმიტრი მოლოდინაშვილი. მათ მოსკოვში მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების შედეგად წარმატებებს მიაღწიეს. კულტსახლის გამგეობა დაინტერესდა ამით და კოლმეურნეებისათვის მოაწყო საუბარი. ბრიგადირებმა კოლმეურნეებს უამბეს მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდების თავიანთ გამოცდილებაზე, რამაც დადებითი შედეგი გამოიღო. ახლა კოლმეურნეობის სხვა ბრიგადებიც მათი მაგალითისამებრ მუშაობენ.

კულტურის სახლს აქვს საცდელი ნაკვეთები, სადაც ახდენენ დაკვირვებას მარცვლეული კულტურების სხვადასხვა ჯიშების შეგუებაზე ადგილობრივ პირობებთან, გამოჰყავთ ახალი ჯიშები და სხვ. კულტურის სახლს ჭიდრო ურთიერთობა აქვს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მემინდვრეობის ინსტიტუტის კახეთის საცდელი სადგურის სოფელ მაღაროს დასაყრდენ პუნქტთან.

„სოფლის ცოდნა“

ვარშაველთა მადლობა ქართული მარმარილოს ოსტატებს

ორიოდე დღის წინათ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქ ვარშავიდან თბილისის მარმარილოს დამმუშავებელი ქარხნის კოლექტივმა მიიღო საპატიო სიგელი და სამკერდე ნიშნები.

ამ სიგელით პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელთა სახელით ბატონ ვალდობას უცხადებენ თბილისის მარმარილოს დამმუშავებელი ქარხნის მუშებს, მოსამსახურეებსა და ინჟინერ-ტექნიკოსებს იმ უანგარო, თავდადებული შრომისათვის, რომელიც მათ გაწიეს ვარშავის მშენებლებს — იოსებ სტალინის სახელობის კულტურისა და მეცნიერების სასახლის აგებისათვის. ამ მშენებლობის სამახსოვრო სამკერდე ნიშნებით დაჯილდოებული არიან ქარხნის მთავარი ინჟინერი ი. ბერიშვილი და ქვის დამმუშავებელი საამქროს უფროსი ი. გოქსაძე.

* * *

თბილისის მარმარილოს დამმუშავებელი ქარხნის კოლექტივი თავიდანვე დიდი ხალისით შეუდგა პოლონელი მეგობრების დაკვეთის შესრულებას. სტალინის სახელობის გარშავის კულტურისა და მეცნიერების სასახლის მოსაპირკეთებლად ამ ქარხნის კოლექტივმა გაგზავნა 3.300 კვადრატულ მეტრზე მეტი საუკეთესოდ დამუშავებული სხვადასხვა ფერის მარმარილოს დაფები.

ახლა ამ სასახლის ფასადს ვესტიბიულებს და დერეფნებს ამშვენებს სარკესავით გაკრიალებული ლოპოტის, სალეთისა და სადაზლოს მარმარილო.

ჯ. რიქვამაძე,
თბილისის მარმარილოს დამმუშავებელი ქარხნის ინჟინერი.

ლიტერატურა და ხელოვნება

★ ★

შემოქმედებითი აღმავლობისათვის

საქართველოს მხატვრები, ისევე როგორც ჩვენი დიდი სამშობლოს სახვითი ხელოვნების ყველა მუშაკი, დიდი და საპატიო ამოცანის წინაშე დგანან, გაცხოველებით ემზადებიან დიდი სამხატვრო გამოფენისათვის, რომელიც მიეძღვნება ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მეორმოცე წლისთავს. გამოფენა მოეწყობა 1957 წლის ნოემბერში ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში.

გამოფენა მოწოდებულია გახდეს უდიდესი ნაბიჯი საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარების გზაზე, კიდევ უფრო აღაფრთოვანოს საბჭოთა ადამიანები კომუნიზმის მშენებლობის დიადი საქმისათვის.

მხატვრების მომავალ ნაწარმოებებში, რომლებიც ამ გამოფენისათვის იქნება გამიზნული, უნდა აისახოს სოციალისტური მშენებლობის მსოფლიო-ისტორიული წარმატებანი მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის დარგში, ნაჩვენები უნდა იქნეს საბჭოთა სახელმწიფოს უდიდესი როლი მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლაში. ხალხთა მეგობრობის თემა, საბჭოთა ადამიანების ცხოვრებისა და გმირული შრომის, ჩვენი სამშობლოს თვალწარმტაცი ბუნების სურათები დიდ ადგილს დაიკავებენ მომავალ გამოფენაზე.

საბჭოთა საქართველოს მხატვრებს თავიანთ შემოქმედებაში გარკვეული წარმატებები აქვთ. მათი ბევრი ღირსშესანიშნავი ნაწარმოები ხალხმა შეიყვარა. მაგრამ ეს მიღწევები მეტად მცირეა ხალხის მზარდ მოთხოვნებთან შედარებით. ჩვენს მხატვრებს აქვთ დიდი შესაძლებლობანი გამოიჩინონ თავი სახვითი ხელოვნების ყველა უანრში. სოციალისტური რეალიზმის ხელოვნება შეიცავს ფორმისა და უანრის მრავალფეროვნებას, შემოქმედებითი ინდივიდუალობის გამოვლინების ფართო შესაძლებლობას.

საიუბილეო გამოფენა ჩვენს რესპუბლიკაში გაიხსნება 1957 წლის 1 ივლისს. შემდეგ გადაირჩევა საუკეთესო ნამუშევრები საკავშირო გამოფენისათვის.

ახლა ჩვენი მხატვრები რესპუბლიკური გამოფენისათვის ემზადებიან. საგამოფენო კომიტეტმა უკვე ჩაიბარა ნაწილი დამთავრებული ნაწარმოებებისა.

6 ნოემბერს ქალაქ ერევანში გაიხსნა აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს მხატვრების 1954 და 1955 წლებში შესრულებულ ნამუშევართა გამოფენა. საქართველოდან ამ გამოფენაზე გაიგზავნა 200-ზე მეტი ნაწარმოები.

1956 წლის გაზაფხულზე მოსკოვში მოწვეულ იქნება მხატვრების პირველი სრულიად საკავშირო ყრილობა. ეს იქნება დიდმნიშვნელოვანი მოვლენა. ყრილობის ამოცანაა განაზოგადოს საბჭოთა სახვითი ხელოვნების მდიდარი გამოცდილება სოციალისტური რეალიზმის გზაზე, გამოაელინოს ყოველივე ის ახალი, რაც შეაქვს სოციალისტური რეალიზმის მეთოდს მსოფლიო ხელოვნების განვითარებაში.

საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირის პრეზიდიუმი უკვე შეუდგა ყრილობისათვის მზადებას. მიღებული გეგმით სხვა ღონისძიებებთან ერთად მოეწყობა ორი შემოქმედებითი დისკუსია: მონუმენტური ქანდაკების განვითარების შესახებ და საყოფაცხოვრებო უანრის სურათის განვითარების შესახებ.

საქართველოს მხატვრები მთელ თავიანთ შემოქმედებითს ძალებს დაძაბავენ იმისათვის, რომ შექმნან ჩვენი დიადი ეპოქის მრავალფეროვანი ცხოვრების ამსახველი ტილოები, რათა პირნათლად წარსდგნენ დიდი ოქტომბრის 40 წლისთავისადმი მიძღვნილ გამოფენაზე.

უჩა ჯაფარიძე,
საქართველოს სახალხო მხატვარი, საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირის თავმჯდომარე.

* * *

სურათზე: ახალგაზრდა მხატვარი ზ. გოგოლაშვილი თავის სახელოსნოში. იგი ამჟამად შუშაობს ხალხთა მეგობრობის თემისადმი მიძღვნილ დიდ ტილოზე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

პირველი სპექტაკლები რუსთაველის კულტურის სასახლეში

დიდი ოქტომბრის სადღესასწაულო დღეებში რუსთავში გაიხსნა რესპუბლიკაში ერთ-ერთი საუკეთესო თეატრალური ნაგებობა — მეტალურგთა კულტურის სასახლე.

ამ შესანიშნავ ნაგებობაში პირველი წარმოდგენა გამართა რუსთაველის სახელობის თეატრმა, რომელმაც რუსთავის მშრომელებს უჩვენა ვ. როზოვის კომედია „ხალისიანი მეგობრები“.

მეორე სპექტაკლი რუსთავის კულტურის სასახლეში გამართა გრიბოედოვის სახელობის თეატრმა, რომელმაც წარმოადგინა ა. შტეინის პიესა „პერსონალური საქმე“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰაინეს ლირიკა

★ ★

სახელგამმა ახლახან გამოსცა ჰაინრიხ ჰაინეს „რჩეული ლირიკა“. თარგმანი შესრულებულია ახალგაზრდა პოეტის აკაკი ჭკადუას მიერ. ჰაინეს „რჩეული ლირიკის“ ქართულად გამოცემა უდავოდ მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენს ლიტერატურაში.

ჰაინეს მომხიბლავი და მომჯადოებელი ლირიკის წიმუშებს ქართულ ენაზე სხვადასხვა დროს თარგმნიდნენ, მაგრამ მისი ლირიკისა და სატირის, ასე ვრცელი და ისიც უშუალოდ დედნიდან შესრულებული თარგმანი ქართულ ენაზე დღემდე არა გვქონია.

მთარგმნელს წინაშე იდგა რთული და პასუხსაგები ამოცანა გადმოეცა ამ უფაქიზესი და უნაზესი პოეტის ყოველი ფრაზის დამახასიათებელი ელასტიკურობა, მუსიკალური ქიდრა და უბრალოება.

სიამოვნებით უნდა აღენიშნოთ, რომ მთარგმნელმა ლირსეულად შეძლო ამ ამოცანის შესრულება. ეს თარგმანები შეიძლება ჩვენი პოეტური თარგმანების საუკეთესო ნიმუშების გვერდით დავაყენოთ. გავიხსენოთ თუნდაც სიმღერების წიგნიდან ერთი ლექსი:

„მე სამარცხვინო შენი ღალატი
არ გაუფუჭია ადამიანებს.
ზღვაში გავედი, თევზებს ვუამბე,
მღელვარე ტალღა გაახმიანებს...
მხოლოდ ხმელეთზე გიტოვებ სახელს,
არ მინდა გყავდეს კაცი ძმრახველი,
მაგრამ უსაზღვრო ოკეანეში
გატეხილი გაქვს უკვე სახელი!“

ასევე ლაღად და ძალდაუტანებლად არის თარგმნილი ლექსები: „გულზე ხელი დამაღეგი“, „შენს პაწია, ტურფა ლოყებს“, „გულო, რატომ იტანჯები“, „არა მწამს ზეცა“, „თუ შენ კარგი თვალები გაქვს“, „ზღვიერ ზღაპსთან“ და სხვ. ამ ლექსთა სტროფებში ოერძნობა პოეზიის სიმუბუქე, ორიგინალის ღრმა განცდა და გემოვნება. ლექსებს უმეტესობა ინარჩუნებს ორიგინალურ, ეროვნულ ელრს და ამავე დროს ისე იკითხება, როგორც წმინდა ქართული ლექსები.

სათარგმნელად თვით ჰაინეს არჩევა და მის რჩეულ ლირიკაში უმთავრესად პოლიტიკური და სატირული ლექსების მოქცევა საკვლევით სწორად და დროულად უნდა მივიჩნიოთ.

ამით ქართველ მკითხველს, მოსწავლე ახალგაზრდობას საშუალება ეძლევა მშობლიურ ენაზე გაეცნოს „რევოლუციის მეფლოს“ ამ შედევრებს, რომლებსაც მარქსი და ენგელსი ასე მაღალ შეფასებას აძლევდნენ და ხშირად ციტატებადაც იყენებდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

წიგნში გვხვდება რთული მასალა სხვადასხვა ისტორიულ-პოლიტიკური მოვლენების, პირების თუ ცალკე თქმების სახით, რომელთა ახრი მეოდამ ნათელი როდია! ყოველივე ეს თარგმანში სწორად არის გაგებული და კომენტირებული, ასევე ჰაინეს მიერ განხრახ ნახმარი პროზაიზმებიც თარგმანში სწორად არის გაგებული და ახსნილი.

დედანთან სიახლოვის საკითხი საერთოდ პოეტური თარგმანის ერთი საკვანძო საკითხია. ამ შემთხვევაში მთავარია ორიგინალის არსი და ჟღერადობის ოსტატური გადმოცემა.

სარეცენზიო წიგნის თარგმნელი ეტყობა, ამ პრინციპით ხელმძღვანელობს, მის მიერ ორიგინალიდან გადახვევა, რაც ცალკეულ ადგილებს ეხება, მუდამ მოზომილია და არსად არ ეწინააღმდეგება ჰაინესეულ სტატიკებს.

ლექსების დიდი უმრავლესობა სიტყვასიტყვით არის თარგმნილი და ამავე დროს შენარჩუნებულია ორიგინალის მუსიკალობა, ზომა და ჯვარედინი რითმა.

მთარგმნელი ახერხებს მოკლე სალექსო ზომაში ჩაატიოს დედნის ახრობრივი ნიუანსებიც, ჯვარედინი რითმაც, გამეორებაც, შინაგანი რითმაც და სიტყვის თამაშიც. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია დავასახელოთ ლექსები: „რომ იცოდნენ ყვავილებმა“, „ახალგაზრდებს“, „შესხმა ლუდვიგ მეფისა“ და სხვ. ყურადღებას იპყრობს სარეცენზიო წიგნის სალექსო ზომათა ნაირფეროვნება, აქ გვხვდება 7, 8, 10, 11, 12, 14 და 15-მარცვლოვანი ლექსები სხვადასხვა რიტმული ფორმატებით.

ჰაინეს ლექსის მრავალნაირი მეტრი აქვს გამოყენებული: ანტიმური განცდების, სევდისა და სიხარულის, რეფლექციური გაწყობილებისა თუ გესლიანი დაცინვის შესაბამისად. მათი დამორჩილება ლექსის ერთი ან ორი მეტრისათვის ერთფეროვანს გახდიდა ჰაინეს პოეზიის ნათელ მოზაიკას. სახოზთა ნაირფეროვნება მოზომილია, ლექსის ყურა მის შინაარსს იქვემდებარება.

ლირიკული ლექსების თარგმანში უნდა იგრძნობოდეს ის, რაც ორიგინალშია: ლაკონიურობა, უბრალოება, ხმოვანთა სიუხარბე სტროფთა ეფექტურობის მიზნით... სარეცენზიო წიგნში ასეთი ზარუნვის ბევრი კარგი ნიმუშია. წინათ ათმარცვლოვან თარგმნილი ლექსი, ამჟამად ნაკლები სახოზით არის თარგმნილი და უფრო კარგ შთაბეჭდილებებსაც ტოვებს.

თარგმანთა მეტად დიდი ნაწილი გულდასმით და სრულყოფილად არის შესრულებული. ამის დამამტკიცებელი ადგილების მოყვანა შორს წაგიყვანდა... დავასახელებთ მხოლოდ რამდენიმეს:

„სამპარი ქარი დასცემს ყველა კერას და ხატებას,
დაილეწება ბევრი მუხა უზარმაზარი,
ბევრი სასახლე შეირყევა, შეზანზარდება,
და დაიქცევა უამრავი ძველი ტაძარი...
შენ მეკითხები, სამშობლოში როგორ
ირიან?
მშვიდობა სუფევს, ამინდები ერთობ
წყნარია.
ქარის დროშები დარცხვენილნი ლარ
იძვრიან,
დღანან და სათი იფრიალონ ალარ იციან!...“

როგორც მთარგმნელის პირველი სერიოზული ცდა, სარეცენზიო წიგნი არ არის თავისუფალი ცალკეული ნაკლოვანებებისაგან. რაკი მან წიგნს უწოდა „რჩეული ლირიკა“, მასში უნდა შეეტანა ჰაინეს ბევრი შედევრი, რაც წიგნში არ მოხვედრილა („გრენადერები“, „მოწამლულია ჩემი სიმღერა“ და სხვ.), მთარგმნელის შენიშვნები, რომლებიც მოხერხებულად არის სქოლიოში მოქცეული, სასურველი იქნებოდა უფრო ვრცელი და სრული ყოფილიყო.

რამდენიმე ლექსი საჭიროებს შემდგომ დახვეწასა და დამუშავებას, რასაც მომდევნო გამოცემაში მთარგმნელი, ალბათ დაინვალსწინებს. კარგად თარგმნილ ლექსში „დგას ჩრდილოეთში“ ვკითხულობთ: „თოვლის ზეწარქვეშ მისძინებია“. დედანში: (ფიქრი) „თოვლმს, თეთრ საფარველში ახვეულ ნაძვებს ხეთოვლი და ყინული“. საჭირო იყო ამ დეტალის დაცვა. ასევე ოდნავ სკილდება დედანს ლექსი „ლორელეის დასასრული“, თარგმნილია: „ასე სურდა ლორელეის“, უნდა იყოს: „აი რა ქნა ლორელეიმ“. შედარებით თავისუფლად, თუმცა მსუბუქ სიმღერად არის თარგმნილი „მე ოცდათხს საათს ველი“, ვფიქრობთ, აქ უფრო დიდი სახოზის არჩევა იყო საჭირო.

ასეთი ხასიათის დეტალები ოდნავაც ვერ ჩრდილავენ სარეცენზიო წიგნის საერთო ღირსებას. ჰაინრიხ ჰაინეს „რჩეული ლირიკის“ გამოცემით სახელგამმა გაბედულად გადადგა ნაბიჯი გერმანული კლასიკური ლიტერატურის მაღალხარისხოვნად თარგმნის საქმეში.

ლ. ძიძიგური.

თეატრი

ბერნარდ შოუ ქართულ სცენაზე

წერილში დიდი რუსი მწერლის ლევ ტოლსტოისადმი ბერნარდ შოუ აღნიშნავდა: „მე არ ვემხრობი „ხელოვნების ხელოვნებისათვის“ და თითსაც არ გავანძრევ ისეთი მხატვრული ნაწარმოების დასაწერად, რომელშიც მხატვრული ღირსების გარდა სხვა არაფერია“.

ეს სიტყვები ნიშანდობლივად გამოხატავს პერნარდ შოუს შემოქმედების არსებით მხარეს.

XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის პირველი ნახევრის დიდი ინგლისელი დრამატურგი, კრიტიკული რეალიზმის ბრწყინვალე წარმომადგენელი ბერნარდ შოუ მთელი სიცოცხლის მანძილზე დაუცხრომლად იბრძოდა ხალხის ბედნიერებისათვის.

„მგზნებარე ირლანდიელი“, როგორც მას უწოდებდნენ თანამემამულენი, დაუნდობლად ამხილებდა ბურჟუაზიული საზოგადოების დამპალ მორალურ საფუძვლებს. მის ნაწარმოებებში გესლიანი სატირის ცეცხლი ანთია.

ბერნარდ შოუს რეალისტია. ცხოვრების სიღრმეზე წარმოადგენს მისი შემოქმედების წყაროს. მწერლის მიერ ასახული ადამიანები, მათი ფიქრები, გრძნობები, ურთიერთდამოკიდებულება — ყველაფერი ეს ცხოვრებიდან არის აღებული.

ბერნარდ შოუს ერთ-ერთი საუკეთესო დრამატული ნაწარმოებია კომედია „პიგმალიონი“, რომლის დადგმა მიმდინარე სეზონში განახორციელა მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა.

ძველი ბერძნული მითის მიხედვით კიპროსის მეფემ, სახელგანთქმულმა მოქანდაკემ პიგმალიონმა სპილოს ძვლისაგან გამოკვეთა უმშვენიერესი ქალიშვილის გალათეას ქანდაკება. ხელოვანს გატაცებით შეუყვარდა თავისი ქმნილება და აფროდიტას შესთხოვა, თუ კი ოდესმე ცოლს არგუნებდა, ისიც ისეთივე ლამაზი ყოფილიყო, როგორიც გალათეა. ქალღმერთმა ისმინა მისი ვედრება და გააცოცხლა ქანდაკება. პიგმალიონმა ცოლად შეირთო მოხიბლავი გალათეა.

ანტიკური მითის ეს სიუჟეტი ბევრმა მწერალმა გამოიყენა, მათ რიცხვს ეკუთვნის ბერნარდ შოუც.

ბ. შოუს პიესაში ძველი მითის სიუჟეტი სულ სხვანაირად გამოიყურება. აქ პიგმალიონი ფონეტიკის პროფესორი ჰენრი ჰიგინსია, გალათეა — ყვავილების უბრალო გამყიდველი ელიზა დულლტლი. გარდამქმნელ ძალად ღმერთქალ აფროდიტას ნაცვლად ფონეტიკაა ძოცემული, რომელიც პიესაში საერთოდ მეცნიერული ცოდნის სიმბოლოს წარმოადგენს.

„პიგმალიონში“ ნათლად ჩანს მწერლის დიდი ჰუმანიზმი, მისი რწმენა ხალხის ნიჭისა და შემოქმედებითი ძალისადმი. კომედიაში შესანიშნავი ოსტატობით არის ნაჩვენები ხალხის წრიდან გამოსული უბრალო ადამიანის მაღალი ღირსება, ნათელი გონება და ლამაზი სული.

მეტად რთული ამოცანა იდგა მარჯანიშვილის სახელობის თეატრის წინაშე — შეექმნა პოლიტიკურად მახვილი, მაღალიდეური და მხატვრული დონის სპექტაკლი, სწორად მიეწოდებინა მაყურებლისათვის ამ შესანიშნავი ნაწარმოების დედააზრი.

უნდა აღინიშნოს, რომ თეატრის მთელი შემოქმედებითი კოლექტივი დიდი პასუხისმგებლობით მოჰკიდებია პიესის განსახიერებას და წარმატებით გადაულახავს სიძნელეები. მაყურებელს ბიბლიოს და ნამდვილ ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს საუკეთესოდ დამამთავრებელი სპექტაკლი.

კარგად არის გადაწყვეტილი პიესის მონტაჟის საკითხი. სპექტაკლი განტვირთულია ვრცელი, დამღლელი დიალოგებისა და მონოლოგებისაგან. ხასიათის სცენიური ინტერპრეტაცია და მიგნებული მიზანსცენები ამსახველებენ ნაწარმოების სოციალურ შინაარსს. რეჟისორმა და შემოქმედებითმა კოლექტივმა პიესა წაიკითხა, როგორც მაშინელებელი სატირა და ამ პოზიციიდან მიუდგა სპექტაკლის იდეურ-მხატვრული გადაწყვეტის საკითხს.

დიდი გემოვნებითა და ოსტატობით ითა არის გაკეთებული სპექტაკლის ფინალი. „პიგმალიონში“ ბ. შოუმ გვერდი აუარა პიესის ბუნებრივ დასასრულს. ელიზას ბედი მწერალმა გადაუწყვეტელი დატოვა, არ უჩვენა მისი მომავალი ცხოვრების გზა. გამოუსწორებელ ეგოისტად დარჩა ჰიგინსიც. სპექტაკლში თეატრმა ხაზი გაუსვა იმ დიდ ჰუმანიზმს, რომელიც შოუს პიესაშია მოცემული.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრში „პიგმალიონის“ ფინალის ინტერპრეტაცია ისეთივეა, როგორც მოსკოვის აკადემიურ მცირე თეატრში, რომელმაც 1943 წელს განახორციელა ამ შესანიშნავი კომედიის დადგმა. სპექტაკლის ასეთი ოპტიმისტური დაბოლოება მთლიანად შეესაბამება ბ. შოუს ნაწარმოების დედააზრს. ფინალის ანალოგიურად გადაწყვეტის დროს ელიზა და ჰიგინსი სრულფასოვანი ადამიანები ხდებიან. ელიზას ნათელმა გონებამ, მისმა ადამიანურმა ღირსებამ და მშვენიერმა სულმა გატეხა ჰიგინსის ეგოიზმი. უკანასკნელ სცენაში მაყურებელი ნათლად რწმუნდება, რომ ამ ორ ადამიანს სიყვარულის მაღალი გრძნობა აკავშირებს.

პიესა საუკეთესოდ არის დადგმული ახალგაზრდა რეჟისორ ლ. ოსელიანის მიერ. სპექტაკლში იგრძნობა რეჟისორული კულტურა, ფაქიზი გემოვნება და მხატვრული ფანტაზია. მაყურებელი შეუნელებელი ყურადღებით ადევნებს თვალს სცენაზე მიმდინარ ამბებს. ჩვენ ვხედავთ კაპიტალისტური ცხოვრების შეუფერებელ სურათს. ლუმპენების საშოვნელად ლონდონის ქუჩებში დაძრწის ელიზა დულლტლი. ელიზა საშინლად დამახინჯებული ენით ლაპარაკობს. ის თავისებური ბგერებით გამოხატავს მუუხარებას, სიხარულს, გოცებას ან ოღესაცებას. მისი მეტყველება პირველი შეხვედრისთანავე მიიპყრობს ფონეტიკის პროფესორის ჰიგინსის ყურადღებას.

ელიზას როლს დიდი გემოვნებით, სიმართლით და გულწრფელობით ასრულებს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი მედეა ჯაფარიძე. მაყურებელს სჯერა მსახიობისა, რადგან იგი ნამდვილად ცხოვრობს მის მიერ შექმნილი გმირის ცხოვრებით. მ. ჯაფარიძე ჭეშმარიტი ოსტატობით აცოცხლებს ზოუს პერსონაჟს.

მეორე მოქმედებაში ელიზას ეხვდებით ჰიგინსის ბინაზე, მის ფონეტიკურ ლაბორატორიაში. აქ არის პოლკოვნიკი პიკერინგიც. ჰიგინსი გატაცებით აცხადებს, რომ მას შეუძლია ამ ქუჩის მაწანწალა გოგონას ექვს თვეში სრულყოფილად შეასწავლოს ინგლისური ენა და ნამდვილ ლედიდ, არისტოკრატ ქალად აქციოს იგი. ელიზა ეთანხმება პროფესორის წინადადებას და ხდება მისი ექსპერიმენტის ობიექტი.

მაყურებელს ღრმად რჩება ხსოვნაში ის სცენა, როდესაც ელიზა ახალი ტანსაცმლით ბრუნდება ჰიგინსის ოთახში. გოგონას იწვევს მისი არაჩვეულებრივი შეცვლა. ჩვენს წინ არის ლამაზი, გრაციოზული ქალიშვილი. მისი მიხრა-მოხრა აღარ არის ისეთი უხეში, როგორიც პირველ მოქმედებაში იყო. ელიზას უხარია ასეთი გარდაქმნა, მაგრამ თანაც ეშინია, რომ სასაცილო არ გახდეს.

სპექტაკლში ცენტრალური კომედიური სცენაა ელიზას მისვლა ჰიგინსის დიდის სალონში. მ. ჯაფარიძე ამ სცენას დიდი ოსტატობით ატარებს. ჩვენ ვხედავთ მშვენიერ ქალიშვილს, რომლის მოქმედებასა და ლაპარაკში ჯერ კიდევ იგრძნობა ზოგიერთი ხელოვნურობა. მისი სატბრის თემა მეტად შეზღუდულია. ის ლაპარაკობს მომაბეზრებელ და უახრო სიტყვებს, რომლებიც შეეხება მხოლოდ ამინდსა და ჯანმრთელობას. სულ სხვაგვარია მისი მეტყველება, როდესაც საუბარი გასცდება მასწავლებლის მიერ დადგენილ წრეს. აქ ელიზა კვლავ იწყებს ლაპარაკს ქუჩური ეარგონით, უხეში და ვულგარული გამოთქმებით.

წარმატებით დამთავრდა ჰიგინსის ექსპერიმენტი. ელიზამ ბრწყინვალედ ჩაბარა გამოცდა. მაღალი საზოგადოების საზეიმო სალამოზე მან ყველა მოხიბლა თავისი სილამაზით, გრაციით. ელიზა ჭერცოგის ასულად მიიღეს და ოდნავაც არავის შეპარავია ეჭვი, რომ ის მენაგვის ქალიშვილია.

ჰიგინსი კმაყოფილია გამარჯვებით. ის ვერ ამჩნევს, როგორ შეიცვალა ელიზას შინაგანი სამყარო. მას არც ქალიშვილის მომავალი აინტერესებს. თავის მხრივ ელიზამაც შეიგნო, რომ ის მხოლოდ უბრალო სათამაშო იყო ჰიგინსის ხელში. ძლიერ სულიერ ღელვას განიცდის სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ქალიშვილი. რა მოელის მას? რა იქნება მომავალში?

მაყურებელზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ჰიგინსის და ელიზას პირისპირ საუბრის სცენა საზეიმო სალამოდან დაბრუნების შემდეგ. ხალხის წრიდან გამოსული ქალიშვილის „ნაფლეთა გონებამ, მისმა ადამიანურმა ღირსებამ გატეხა გულქვა ეგოისტი. ფინალურ სცენაში ელიზა ბრძოლაში ადგა ჰიგინსს, ბრძოლაში ადამიანურ ღირსებისა და ადამიანურ ბედნიერებისა. ელიზა ეუბნება ჰიგინსს: „მე არ ვემხრობი „ხელოვნების ხელოვნებისათვის“ და თითსაც არ გავანძრევ ისეთი მხატვრული ნაწარმოების დასაწერად, რომელშიც მხატვრული ღირსების გარდა სხვა არაფერია“.

ეს სიტყვები ნიშანდობლივად გამოხატავს პერნარდ შოუს შემოქმედების არსებით მხარეს.

XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის პირველი ნახევრის დიდი ინგლისელი დრამატურგი, კრიტიკული რეალიზმის ბრწყინვალე წარმომადგენელი ბერნარდ შოუ მთელი სიცოცხლის მანძილზე დაუცხრომლად იბრძოდა ხალხის ბედნიერებისათვის.

„მგზნებარე ირლანდიელი“, როგორც მას უწოდებდნენ თანამემამულენი, დაუნდობლად ამხილებდა ბურჟუაზიული საზოგადოების დამპალ მორალურ საფუძვლებს. მის ნაწარმოებებში გესლიანი სატირის ცეცხლი ანთია.

ბერნარდ შოუს რეალისტია. ცხოვრების სიღრმეზე წარმოადგენს მისი შემოქმედების წყაროს. მწერლის მიერ ასახული ადამიანები, მათი ფიქრები, გრძნობები, ურთიერთდამოკიდებულება — ყველაფერი ეს ცხოვრებიდან არის აღებული.

ბერნარდ შოუს ერთ-ერთი საუკეთესო დრამატული ნაწარმოებია კომედია „პიგმალიონი“, რომლის დადგმა მიმდინარე სეზონში განახორციელა მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა.

ძველი ბერძნული მითის მიხედვით კიპროსის მეფემ, სახელგანთქმულმა მოქანდაკემ პიგმალიონმა სპილოს ძვლისაგან გამოკვეთა უმშვენიერესი ქალიშვილის გალათ

საფრანგეთის, ინგლისის, საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული მზეზეების საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირი

ჟენევა, 11 ნოემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს 15 საათსა და 30 წუთზე შუა ევროპის დროით (17.30 მოსკოვის დროით) დაიწყო საფრანგეთის, ინგლისის, საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრების მეთერთმეტე სხდომა.

სხდომას თავმჯდომარეობს ვ. მ. მოლოტოვი.

სხდომის დასაწყისში ვ. მ. მოლოტოვმა განაცხადა, რომ ოთხი სახელმწიფოს მინისტრებმა მიიღეს შეთანხმებული გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ თათბირის მუშაობა დამთავრდეს მომავალი კვირის დამლევს.

შემდეგ მან სიტყვა მისცა ჯ. დალესს დღის წესრიგის მეორე პუნქტის — **განიარაღების საკითხის — განხილვის წესით.**

ოჯო გრიოტევოღმა სიტყვით მიმართა მუშებს ცვიკაუში

ბერლინი, 11 ნოემბერი. (საკდესი). როგორც აღნ-ის საგენტო იუწყება, გერმანია-საბჭოთა კავშირის ზეგობრობის ერთთვეიურთან დაკავშირებით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიერ-მინისტრმა ოტო გროტეოლმა დღეს სიტყვით მიმართა მაღაროელ მუშებს ცვიკაუში. გროტეოლი შეეხო საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირს, აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკას გერმანიის საკითხში.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას, თქვა გროტეოლმა, მიუღებლად მიაჩნია პოზიცია, რომელიც დასავლეთის სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრებმა დაიკავეს ჟენევის თათბირზე. ბონ დალესის, ბონ მაკმილანის და ბონ პინეს განცხადებებიდან ჩანს, რომ ისევე როგორც წინათ, მათი მიზანია მთელი გერმანია შეიყვანონ ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტში. ახლა მთელი გერმანელი ხალხი ხედავს, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა მინისტრები, რომლებიც თითქოს გერმანიის ერთიანობას ეზსრობიან, თავიანთი წინადადებებითა და მოქმედებით ნამდვილად ხელს უწყობენ გერმანიის გაფთშვის გაღრმავებას. გერმანიის შეიკვანა ნატო-ში იმას მოასწავებს, რომ მთელი გერმანია აიძულონ იაროს მილიტარიზაციის გზით. ასეთი გზა არ უწყობს ხელს დაძაბულობის შენელებას საქმეს, კიდევ უფრო ამწვავებს მდგომარეობას ევროპაში, აძლიერებს დაძაბულობას სახელმწიფოთა ურთიერთობაში და მეტ საფრთხეს უქმნის მშვიდობას. გერმანელი ხალხი ასეთ განვითარებას ვერასოდეს ვერ დაუშვებს და არც დაუშვებს. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ყველა მშვიდობისმოყვარე გერმანელს ინტერესებს გამოხატავს, როცა იტყვიან, რომ ევროპაში მშვიდობის შენარჩუნება და უზრუნველყოფა ახლა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. გერმანიის საკითხის წარმატებით გადაჭრა მხოლოდ ამ საფუძველზე შეიძლება. დასავლეთის სახელმწიფოთა წინადადებანი ოდნავაც არ ითვალისწინებენ რეალურ სიტუაციას, რომელიც წარმოიშვა იმასთან დაკავშირებით, რომ ევროპაში არსებობს გერმანიის ორი სახელმწიფო, რადგან ამ გზებში უგულებელყოფილია სუვერენული გერმანული სახელმწიფოს — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თვალსაზრისი.

შემდეგ გროტეოლი შეეხო საბჭოთა წინადადებებს. ეს წინადადებანი, აღნიშნა მან, ითვალისწინებენ რეალურ მდგომარეობას; ეს კონსტრუქციული წინადადებებია, შეესაბამება ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირის დირექტივებს და ხელს უწყობს იმას, რომ შეიქმნას ერთიანი, მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული გერმანია. დასავლეთის სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების პოლიტიკა ჟენევაში არა მარტო იწვევს გერმანიის გათიშვის გაღრმავებას, არამედ კიდეც აძლევს თვითონ გერმანელების ურთიერთგაგებას.

გერმანელმა ხალხმა, განაგრძო გროტეოლმა, თვითონ უნდა აწარმოოს მოლაპარაკება, მან უნდა მიაღწიოს ურთიერთგაგებას და ხელი აიღოს თავისი სასიცოცხლო საკითხების გადაჭრა. ამის საგარეო წანამძღვარებია ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნა. შინაგანი წანამძღვარები კი არის ამ ორი გერმანული სახელმწიფოს ურთიერთგაგება და დაახლება, გერმანია მხოლოდ ასეთი გზით შეიძლება თანდათანობით გაერთიანდეს.

ამისათვის ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი, რომელიც თვითონ გერმანელებმა უნდა გადადგან, არის სრულიად გერმანიის საბჭოს შექმნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოების წარმომადგენელთაგან. სრულიად გერმანიის საბჭოს უპირველესი ამოცანა ის იქნება, რომ ხელი შეუწყოს დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიის გერმანელთა ურთიერთდაახლოებას და მოაწყოს თანამშრომლობა გერმანიის ორივე ნაწილის ურთიერთობის ყველა დარგში. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის თანამშრომლობა სრულიად გერმანიის საბჭოში ამისათვის გადადგმული რეალური ნაბიჯი იქნება, რომ გერმანია გაერთიანდეს გერმანელი ხალხის ეროვნული ინტერესებისა და ევროპის უშიშროების ინტერესების შესაბამისად.

ჩვენ მოვუწოდებთ მთელ გერმანელ ხალხს— არავის შეაყვანინოს თავი შეცდომაში, არავის მისცეს საშუალება გააღვივოს ურთიერთმტრობა, მოვუწოდებთ იაროს წინ ურთიერთგაგების გზით მშვიდობისმოყვარე დემოკრატიული გერმანის შესაქმნელად.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს განცხადება

პარიზი, 11 ნოემბერი. (საკდესი). გაზეთი „ლუმანიტე" აქვეყნებს საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს განცხადებას იმის შესახებ, რომ საერთო საფრანგეთის მთელი დემოკრატიული ძალების გაერთიანება პარლამენტის მომავალ არჩევნებში. განცხადებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ამჟამად საფრანგეთში სულ უფრო ძლიერდება სახალხო მოძრაობა იმისათვის, რომ მთავრობის პოლიტიკა შეიცვალოს საფრანგეთის სასიცოცხლო ინტერესების შესაბამისად.

„საფრანგეთის კომუნისტური პარტია, — ნათქვამია განცხადებაში, — კვლავ აღნიშნავს, რომ ამერიდან საფრანგეთში შესაძლებელია მემარცხენე ძალების მტკიცე და ნაყოფიერი პოლიტიკა. არის ყველა მონაცემი იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას შეთანხმება სოციალური სამართლიანობისა და დემოკრატიული პროგრესის საფუძველზე. ომის საფრთხემ უკან დაიხია. საერთაშორისო დაძაბულობა შენელდა. ფრანგი ხალხის უმრავლესობა მოითხოვს მოლაპარაკების პოლიტიკის განხორციელებას. სხვა მხრივ, ბოლოს შეუწყობს ხელს ეროვნული ეკონომიკის აღორძინებას, ეხმარება ოჯახებს, ეხმარება ინტელიგენციას, ეხმარება ფერმერებს, ეხმარება ინვალიდებს, ეხმარება ახალგაზრდობას, ეხმარება ინვალიდებს, ეხმარება ინვალიდებს, ეხმარება ინვალიდებს